ელიავა
ბიოპრეპარატები

გოთუას ქ. 3, თბილისი, 0160, საქართველო
995 322 15 14 02
info@phage.ge
www.phage.ge

ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

შემადგენლობა:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგი წარმოადგენს კომბინირებულ საშუალებას, რომელიც შეიცავს ფაგოლიზატების სტერილურ ნარევს, აქტიურს:
• სტაფილოკოკების (Staphylococcus);
• სტრეპტოკოკების (Streptococcus);
მიმართ.
არააქტიური ნივთიერებების სახით: ბაქტერიულ საკვებ ბულიონს, ფიზიოლოგიურ ხსნარს, ხოლო კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:
მოყვითალო – ღია ყავისფერი სითხე.

ფარმაკოლოგიური მოქმედება:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგი იწვევს სტაფილოკოკების და სტრეპტოკოკების სპეციფიკურ ლიზისს.

გამოყენების რეკომენდაციები:
ფაგო-ფერსისი წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას. მისი გამოყენება შესაძლებელია ბაქტერიული ინფექციების პროფილაქტიკისათვის და კომპლექსურად სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ზემოთ აღნიშნული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ჩირქოვან-ანთებითი და ენტერალური ინფექციების დროს.
ცხვირ-ხახის ინფექციური დაავადებები: შუა ყურის ანთება, ანგინა, ლარინგიტი, რინიტი, ტრაქეიტი, ბრონქიტი, პნევმონია, პლევრიტი.
კანის ინფექციური დაავადებები: ფურუნკულები, კარბუნკულები, ღრმა ინფილტრაციული და აბსცესური სიკოზები, პიოდერმიტები.
ქირურგიული ინფექციები: აბსცესები, ჩირქოვანი ჭრილობები, მასტიტები, ოსტეომიელიტები, ფლეგმონა.
პირის ღრუს ანთებითი პროცესები: სტომატიტი, გინგივიტი და სხვა.
თვალის ინფექციური დაავადებები: ბაქტერიული კონიუქტივიტები.
დამწვრობის დროს განვითარებული მეორადი ინფექციები.
უროგენიტალური და გინეკოლოგიური ინფექციები: ურეთრიტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, კოლიტი, ენდომეტრიტი.
ენტერალური ინფექციები: გასტროენტეროკოლიტი, ქოლეცისტიტი, სტაფილოკოკური ტოქსიკოინფექციები, დისბაქტერიოზი. ბავშვთა (მათ შორის ახალშობილთა) სხვადასხვა ჩირქოვან- ანთებითი ინფექციები, ასევე ოპერაციის შემდგომი გართულებებისა და საავადმყოფოს შიდა ინფექციების პროფილაქტიკის მიზნით.

მიღების წესი და დოზირება:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგი გამოიყენება როგორც ადგილობრივად დაზიანებული კერის დასამუშავებლად (საფენების სახით), ასევე ღრუში შესაყვანად (შარდის ბუშტი, პლევრა, ღრუ ჭრილობები, მუცლის ღრუ, აბსცესის ღრუ, ცხვირის ღრუ, საშვილოსნო, საშო). ფაგო-ფერსისი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დასალევად, ასევე ზონდის, დრენაჟის და ოყნის სახით.

Revision 2
Revision Date: 22.04.2025

ბაქტერიოფაგის ადგილობრივი გამოყენება ხდება 3-8 დღის განმავლობაში, დღეში სამჯერ. ფაგის რაოდენობა განისაზღვრება დაზიანებული ადგილის ზომის მიხედვით. თუ ფაგის გამოყენებამდე ჭრილობა დამუშავებული იყო სხვადასხვა ქიმიური ანტისეპტიკებით, იგი უნდა გაიწმინდოს სტერილური ფიზიოლოგიური ხსნარით და დამუშავდეს 2-3% სოდიანი ხსნარით. აბსცესების, პლევრიტების და ართრიტების დროს ბაქტერიოფაგის ღრუში შეყვანა ხდება ჩირქის გამოდევნის შემდეგ, 50 - 200 მლ რაოდენობით, დღეგამოშვებით. ცისტიტების, პიელიტების დროს ფაგის შეყვანა ხდება კათეტერით. ქოლეცისტიტების დროს ზონდირებით 30 მლ ოდენობით, დღეგამოშვებით. კონიუქტივიტების დროს ბაქტერიოფაგს აწვეთებენ დღეში 4-6 ჯერ, 2-3 წვეთის ოდენობით. ახალშობილთა ომფალიტების და პიოდერმიების დროს ბაქტერიოფაგი გამოიყენება საფენების სახით, დღეში ორჯერ, 5 - 7 დღის განმავლობაში. Per os ბაქტერიოფაგის გამოყენების წინ რეკომენდებულია 2 - 3% საკვები სოდიანი ხსნარის მიღება.

განსაკუთრებული მითითებები:
გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრევის შემთხვევაში ფაგო-ფერსისი არ გამოიყენოთ!!! არ შეინახოთ ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

ჭარბი დოზირება, უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა. ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:
ფაგო-ფერსისის გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.

მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:
ორსულობა და ლაქტაცია:
ბაქტერიოფაგების გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.
ხანდაზმულები:
ბაქტერიოფაგები ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.
გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგის გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

შეფუთვა:
ფაგო-ფერსისი გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)
შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:
ფაგო-ფერსისი ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 24 თვე.

გაცემის რეჟიმი:
გაიცემა რეცეპტის გარეშე.

შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში

ფაგო-ფერსისი წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას და არ შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს.

მწარმოებელი:
შპს “ელიავა ბიოპრეპარატები”
გოთუას ქ. 3, თბილისი, 0160, საქართველო
ტელეფონი: +995 (32) 2151402;
ელ-ფოსტა: info@phage.ge

Revision 2
Revision Date: 22.04.2025